

Architecture Design Studio

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო-ადმინისტრაციული შენობის ესკიზური პროექტი

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის სიღრმეში, სამხრეთით ესაზღვრება უნივერსიტეტის I და II კორპუსი, ჩრდილოეთით ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი, აღმოსავლეთით კი ვარაზისხევი.

საპროექტო ობიექტი წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამატებით ადმინისტრაციულ-სასწავლო შენობას, რომელიც განთავდება I და II კორპუსის ჩრდილოეთ ნაწილში. აქ ისტორიულად მდებარეობდა უნივერსიტეტის დამხმარე შენობა-ნაგებობები, მათ შორის გამორჩეულია ლაბორატორიის შენობები, რომელთა თავზე ვხვდებოდით ბელვედერს. დღეის მდგომარეობით განსახილველ მონაკვეთში, სახეცვლილ ლაბორატორიის შენობებთან ერთად მდებარეობს სხვადასხვა დროებითი ნაგებობები, სადაც განთავსებულია საწყობები, ავტოსერვისები და ა.შ. II კორპუსის ჩრდილოეთით მდებარე ლაბორატორიის შენობაზე გაკეთებულია დაშენება რის გამოც ბელვედერს დაკარგული აქვს მისი ფუნქცია. პროექტით გათვალისწინებულია, ბელვედერის გათავისუფლება სხვადასხვა უსისტემო დაშენებებისგან, მისი პირვანდელი სახის აღდგენა, რაც ემსახურება ავთენტური ფუნქციის დაბრუნებას. ასევე შესაძლებელია ხსენებული მონაკვეთის ნაწილის გამოყენება ღია ავტოსადგომად. ბელვედერსა და პირველ კორპუსს შორის არსებული სპორტული მოედანი შეიცვლის ადგილს, კერძოდ გადავა ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, მას კავშირი ექნება, როგორც უნივერსიტეტის ძირითად კორპუსებთან ასევე, ახალ სასწავლო-ადმინისტრაციულ კორპუსთან და მედეათეკასთან.

საპროექტო გადაწყვეტა ითვალისწინებს, ისტორიული ლაბორატორიის შენობების გადაღმა მდებარე მოსწორებულ ტერასაზე 3 სართულიანი ადმინისტრაციულ-სასწავლო შენობის განთავსებას. საპროექტო ჯგუფის მთავარი მიზანი იყო უნივერსიტეტის I და II კორპუსების ისტორიული შენობების დომინანტური როლის შენარჩუნება, რაც უმთავრესად მიღწეულია საპროექტო შენობაზე მწვანე სახურავის მოწყობით, აღნიშნული გადაწყვეტა უზრუნველყოფს გმირთა მოედნისა და ვარაზისხევის მიდამოების ხედვის არეალიდან ერთგვარი მწვანე წყვეტის გაჩენას უნივერსიტეტის ახალ და ძველ კორპუსებს შორის. ხსენებული წყვეტა მეტად ორგანულად ეწერება განსახილველ გარემოში მისი ფიზიკური მახასიათებლების და ფერდზე არსებული გამწვანების გათვალისწინებით. მწვანე სახურავი გამოყენებული იქნება სარეკრეაციო-მოსასვენებელ სივრცედ. მასზე მოეწყობა ყვავილნარის კლუმბები, ფეხით მოსიარულეთა სავალი ბილიკები და საპარკე ძელსკამები. მასზე მოხვედრა შესაძლებელია მწვანე სახურავის აღმოსავლეთისა და დასავლეთით გამავალი ქვეითად მოსიარულეთა ბილიკებით. ბელვედერის კონტურში გათვალისწინებულია მინის, პანორამული ჰიდრავლიკური ლიფტის მოწყობა, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება, როგორც უნივერსიტეტის ახალი საპროექტო კორპუსის მთავარი შესასვლელის დონეზე მოხვედრა ასევე, მწვანე სახურავის დონეზე ასვლა და მასზე დაკიდებული ხიდით მოხვედრა. ქალაქგეგმარებითი კუთხით, საპროექტო შენობა გაიმეორებს ტერიტორიის კონტურს, ლაბორატორიის შენობებამდე დატოვებული 8 მ. სიგანისა და 100 მ. სიგრძის ღია მონაკვეთი ერთგვარ გარდამავალ, დამაკავშირებელ სივრცეს შექმნის უნივერსიტეტის ახალ და ისტორიულ შენობებს შორის, რომელიც მოაზრებული იქნება სხვადასხვა ღონისძიებების და აქტივობების ჩასატარებლად.

სივრცულ-მოცულობითი თვალსაზრისით საპროექტო შენობა არსებული ფერდის ერთგვარი გაგრძელებაა, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე აღმოსავლეთით რელიეფიდან ამოიზრდება ერთგვარ ოვალურ ფორმას შეკრავს და დასავლეთით კვლავ დაუკავშირდება ფერდს. საპროექტო ობიექტი ლაბორატორიის შენობების მხრიდან გრუნტის ნიშნულიდან ორსართულიანი იქნება ერთი მიწისქვეშა სართულით , ხოლო ჩრდილოეთით მდებარე ფერდის მხრიდან გამოჩნდება არასრული სამი სართული.

შენობის მოცულობითი გადაწყვეტის გათვალისწინებით მის არქიტექტურულ სახეს აყალიბებს მწვანე სახურავი, რომელიც გადაეფარება მინისა და ბეტონის ფასადს. სახურავზე შევხვდებით რამდენიმე ამოჭრილ მონაკვეთს, ერთ-ერთ მათგანში განთავსდება პატიო. ხსენებული შიდა ეზო შემოსაზღვრული იქნება გახსნადი ვიტრაჟული სისტემით, რაც უზრუნველყოფს შენობის შიდა და გარე სარეკრეაციო სივრცის ინტეგრაციას.

უნივერსიტეტის I და II კორპუსებს შორის ვხვდებით ღია სივრცეს რომელიც გრძელდება ლაბორატორიის შენობებამდე. აღნიშნული ღერძი შენარჩუნდება საპროექტო ობიექტის მონაკვეთშიც, კერძოდ ლაბორატორიის შენობებს შორის მდებარე სამანქანო პანდუსს გაუკეთდება რეკონსტრუქცია, მოეწყობა კიბე, რომელიც საპროექტო შენობის ნაწილში დერეფნის გავლით მოხვდება ჩრდილოეთით მდებარე ფერდზე გადაკიდებულ ტერასაზე, საიდანაც შესაძლებელია საპროექტო მედეათეკის ბაქანზე მოხვედრა. საგულისხმოა, რომ დერეფანი ობიექტის ცენტრალურ მონაკვეთში აღმოსავლეთით უკავშირდება ზემოთხსენებულ პატიოს, ხოლო დასავლეთით შენობის ვესტიბიულს. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე სივრცე აღჭურვილი იქნება გაღებადი ვიტრაჟებით დერეფანთან ერთად შეიქმნება ერთგვარი ღია ტრანსპორმირებადი სივრცე, რომლის სხცადასხვა მიზნით გამოყენებაც სეზონურად იქნება შესაძლებელი.

საპროექტო შენობაში შევხვდებით ყველა იმ ფუნქციას, რაც გათვალისწინებულია ტექნიკური დავალებით: აუდიტორიებს, სხვადასხვა დეპარტამენტის ოთახებს, დამხმარე ტექნიკური პერსონალის ოთახებს, საწყობს, ავტოსადგომს და ა.შ. ჯამში შენობის საერთო ფართი შეადგენს 6588.2კვ.მ-ს. საპროექტო შენობა კონსტრუქციულად აიგება რკ. ბეტონის კარკასზე.



სიტუაციური გეგმა მ.1:1000

ფორმატი A1 / თარიღი 30.05.2024

Architecture Design Studio



გენგეგმა მ.1:500

ფორმატი A1 / თარიღი 30.05.2024

Architecture Design Studio



არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო



ფოტომონტაჟი


არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო და ფოტომონტაჟი (ხედი 1)

ფორმატი A1 / თარიღი 30.05.2024

Architecture Design Studio



არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო




ფოტომონტაჟი

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო და ფოტომონტაჟი (ხედი 2)

ფორმატი A1 / თარიღი 30.05.2024

Architecture Design Studio

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო



ფოტომონტაჟი



არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო და ფოტომონტაჟი (ხედი 3)

ფორმატი A1 / თარიღი 30.05.2024

Architecture Design Studio



არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო



ფოტომონტაჟი

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო და ფოტომონტაჟი (ხედი 4)

ფორმატი A1 / თარიღი 30.05.2024

Architecture Design Studio